პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი
2024 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის

პრეამბულა

ხელმომწერი პოლიტიკური პარტიები, -

ვაცნობიერებთ რა მაღალ პასუხისმგებლობას, საქართველოს სახელმწიფოს, მისი მოქალაქეებისა და მათი მომავლის წინაშე;

ვისწრაფვით ქვეყნის მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარებისკენ;

ვაღიარებთ საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, კანონის უზენაესობას, საარჩევნო პროცესის - კანონისა და ეთიკური პრინციპების შესაბამისად ჩატარების მნიშვნელობას;

ვაღიარებთ სამართლიანობის პრინციპების დაცვის, დემოკრატიული დიალოგისა და პარტიებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას;

ვაღიარებთ რა ისეთ ძირითად საარჩევნო ღირებულებებს, როგორიცაა არჩევნების მთლიანობა, გამჭვირვალობა, კონფიდენციალურობა, უსაფრთხოება და თანაბარი საარჩევნო გარემო;

ვაცნობიერებთ, რომ წინამდებარე ქცევის პრინციპებს არ გააჩნიათ იურიდიული ძალა და წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიების მიერ კონსენსუსით შექმნილ ქცევის წესების ერთობლიობას;

ვაყენებთ სახელმწიფო ინტერესებს, კერძო და პარტიულ ინტერესებზე მაღლა;

ვადასტურებთ, რომ მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური განსხვავებებისა, კეთილი ნებითა და პასუხისმგებლობით შევასრულებთ წინამდებარე ქცევის კოდექსს, რათა წვლილი შევიტანოთ მრავალპარტიული, დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრებაში, ეთიკური, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პროცესის წარმართვაში.

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ზოგადი პრინციპები

1.1. ვაღიარებთ კანონის უზენაესობას, ვიმოქმედებთ საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, დემოკრატიული მმართველობის პრინციპებისა და საზოგადოების ინტერესების დაცვით;

1.2. შევინარჩუნებთ არჩევნების მთლიანობას არსებული კანონმდებლობის, სამართლიანი კამპანიის და ფინანსური გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;

1.3. პატივს ვცემთ და დავიცავთ ყველა პოლიტიკური პარტიის, კანდიდატისა და ამომრჩევლის უფლებებს;

1.4. ხელს შევუწყობთ ინკლუზიურ პოლიტიკურ დისკურსს. მონაწილეობას და წვლილს შევიტანთ უსაფრთხო საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებაში;

1.5. საქმიანობას განვახორციელებთ ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;

1.6. არ გამოვიყენებთ სიძულვილის ენას, ქსენოფობიურ ან/და მუქარის შემცველ გამონათქვამებს;

1.7. ხელს შევუწყობთ მშვიდობიან საარჩევნო გარემოს, არ მივმართავთ ძალადობას და არც მოვუწოდებთ მისი გამოყენებისკენ;

1.8. წარვმართავთ ინკლუზიურ და წარმომადგენლობით საარჩევნო პროცესს, რომელშიც უზრუნველყოფილია თანაბარი შესაძლებლობები ყველა ამომრჩევლისთვის და საარჩევნო პროცესის სხვა მონაწილეებისთვის;

1.9. საარჩევნო კამპანიის ფინანსური რესურსების ხარჯვას მოვახდენთ გამჭვირვალედ და კანონის მოთხოვნათა დაცვით.

2. ღირსეული და სამართლიანი კონკურენცია

2.1. ვაწარმოებთ საგნობრივ, პროგრამაზე და საკითხებზე ორიენტირებულ საარჩევნო კამპანიას, პატივს ვცემთ კონკურენტების ღირსებას, თავს შევიკავებთ პიროვნული შეურაცხყოფისგან;

2.2. პატივს ვცემთ კონკურენტი პოლიტიკური პარტიების/კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების უფლებას;

2.3. ხელს არ შევუშლით კონკურენტების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებსა და სააგიტაციო მასალის გავრცელებას, მათ შორის არ განვახორციელებთ და დავგმობთ კონკურენტი პოლიტიკური პარტიების/კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე საკუთარი აქტივისტებისა და მხარდამჭერების მობილიზებას და დაპირისპირებას;

2.4. არ გამოვიყენებთ და განზრახ არ გავავრცელებთ უკანონოდ მოპოვებულ ან/და ყალბ ინფორმაციას სხვა კანდიდატების შესახებ, არ განვახორციელებთ ცნობების ფაბრიკაციას და ფალსიფიკაციას;

2.5. წინასაარჩევნო კამპანიისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიებს, მათ შორის ხელოვნურ ინტელექტს, გამოვიყენებთ ეთიკურად და გამჭვირვალედ. თავს შევიკავებთ შეცდომაში შემყვანი შინაარსის წარმოების, გამოყენების ან გავრცელებისგან;

2.6. არ გამოვიყენებთ გაყალბებულ, შეთხზულ მონაცემებს ან მასალას;

2.7. თავს შევიკავებთ ნებისმიერი სახის ცრუ კონტენტის შემცველი მასალის გავრცელებისგან, რომელიც გენერირებულია ხელოვნური ინტელექტით ან მის გარეშე, კანდიდატების, თანამდებობის პირების ან დაინტერესებული მხარის პროფილის გაყალბებისა ან რეალური სურათის შესაცვლელად;

2.8. არც უშუალოდ და არც დაქირავებული მესამე პირების მეშვეობით არ გამოვიყენებთ ე.წ. „ბოტების“ ქსელს პოლიტიკურ ოპონენტებზე ელექტრონულ სივრცეში პოლიტიკური ან პერსონალური თავდასხმის მიზნით; არ განვახორციელებთ ტროლინგს ან კიბერბულინგს;

2.9. არ გამოვიყენებთ ადმინისტრაციულ რესურსებს საარჩევნო პროცესში. მათ შორის თავს შევიკავებთ, როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური და სხვა სახის ადმინისტრაციული აქტივების გამოყენებისგან, გარდა კანონით ნებადართული შემთხვევებისა;

2.10. საარჩევნო კამპანიის წარმოებისას თავს შევიკავებთ ისეთი საჯარო გამოსვლების, განცხადებების, სააგიტაციო მასალის (მედია, ვიდეო, აუდიო, სოციალური მედია, ბეჭდური) გავრცელებისგან, რომელიც გულისხმობს ცილისწამებას, ღალატის, ტერორიზმის, ან სხვა დანაშაულის დაბრალებას, ასევე, რომელიც წაახალისებს სიძულვილს, დაპირისპირებას და კონფლიქტს ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით;

2.11. მედიასაშუალებებს არ მივაწვდით ცილისმწამებლურ, დაუსაბუთებელ ცნობებს სხვა პოლიტიკური სუბიექტების, მათი წევრების შესახებ და საჯაროდ დავგმობთ მედიის ან მედიის ცალკეული წარმომადგენლის ქმედებებს და განცხადებებს, რომლებიც შეიცავს მუქარას, ცილისწამებას, ან შეურაცხყოფას ამომრჩევლის ან საარჩევნო სუბიექტის მიმართ.

3. ამომრჩეველთა უფლებების პატივისცემა

3.1. ვთანხმდებით, პატივი ვცეთ ამომრჩეველთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესში;

3.2. ვთანხმდებით, რომ ამომრჩეველს მიეცეს ინფორმირებული და თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ყოველგვარი შეზღუდვის ან/და შევიწროების გარეშე;

3.3. ვთანხმდებით, არ შევუშალოთ ხელი ამომრჩეველს საარჩევნო პროცესში მონაწილეობასა და თავისუფალი ნების გამოვლენაში;

3.4. ვაწარმოებთ ინკლუზიურ საარჩევნო კამპანიას, რომელში ჩართვის შესაძლებლობაც თანაბრად ექნებათ ქალებს, ახალგაზრდებს და მოწყვლად (დაუცველ/ნაკლებად დაცულ) ჯგუფებს;

3.5. არ ვეცდებით ამომრჩევლების ან საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების მოსყიდვას პირდაპირ, ან ირიბად, მესამე პირების გამოყენებით, სახელმწიფო რესურსების გამოყენებით ან/და ასეთი დაპირებით;

3.6. არ ვეცდებით ამომრჩევლების ან საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების დაშინებას, არ განვახორციელებთ ამომრჩევლებზე ზეწოლას ან ძალადობას, ან ასეთი ძალადობის შესახებ მუქარას. მათ შორის არ განვახორციელებთ არჩევნების დღეს ამომრჩევლების კონტროლს და თვალყურის დევნებას, არ შევაყოვნებთ ამომრჩეველს საარჩევნო უბანზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე აგიტაციის მიზნით. საჯაროდ მოვუწოდებთ მხარდამჭერებსა და აქტივისტებს შეასრულონ ზემოხსენებული ვალდებულება;

3.7. არ დავუშვებთ ჩვენმა წევრებმა და აქტივისტებმა მიუთითონ ამომრჩეველს ხმის მიცემის კაბინაში შემოხაზული/გაფერადებული ბიულეტენის ფოტოგადაღების შესახებ; ასევე, გამოიტანონ ბიულეტენი კაბინიდან საარჩევნო ურნაში მოთავსების გარეშე, მესამე პირისთვის მისი ჩვენების მიზნით;

3.8. ვთანხმდებით, არ გავავრცელოთ საარჩევნო პროცესის შესახებ რაიმე არაზუსტი ინფორმაცია, მათ შორის კენჭისყრის პროცესის შესახებ;

3.9. არ დავუშვებთ ამომრჩევლის პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. შესრულება და მონიტორინგი

4.1. დავნერგავთ და გამოვიყენებთ წინამდებარე ქცევის კოდექსს პარტიის სტრუქტურაში, რეგიონულ ორგანიზაციებში და ყოველდღიურ საქმიანობაში. მივაწვდით ამ ქცევის კოდექსით აღებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას და შესრულების ინსტრუქციას ჩვენს პარტიულ თანამდებობის პირებს, აქტივისტებს და მხარდამჭერებს;

4.2. ვთანხმდებით, რომ დავნერგავთ წინამდებარე ქცევის კოდექსის აღსრულებისა და მონიტორინგის შიდაპარტიულ მექანიზმს, რომლის მუშაობის შესახებ ინფორმაციას და გამოცდილებას პერიოდულად გავუზიარებთ დანარჩენ პარტიებს, რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს ეთიკის ნორმების მონიტორინგისა და აღსრულების პარტიათაშორისი მექანიზმის შექმნა;

4.3. პასუხისმგებლობას ავიღებთ, რომ წინ აღვუდგებით და დავგმობთ საკუთარი პარტიის კანდიდატების, პარტიული მუშაკების, წარმომადგენლების და აქტივისტების მიერ წინამდებარე ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტებს;

4.4. ვთანხმდებით, რომ არ გამოვიყენებთ სატელიტ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საარჩევნო პროცესში სადამკვირვებლო საქმიანობისთვის, საარჩევნო უბანზე რიცხობრივი უპირატესობის მოპოვების მიზნით;

4.5. ვაცნობიერებთ კიბერუსაფრთხოების რისკებს და გადავდგამთ აქტიურ ნაბიჯებს პარტიის რიგებში ცნობადობის ამაღლების კუთხით, ციფრული და ელექტრონული საფრთხეების პრევენციის მიზნით;

4.6. ვთანხმდებით ბოროტად არ გამოვიყენოთ საარჩევნო საჩივრების მექანიზმი და არ შევიტანოთ ყალბი, ფაბრიკაციის შედეგად შედგენილი, უსაგნო და უსაფუძვლო საჩივრები;

4.7. ვთანხმდებით მშვიდობიანად, დროულად და ურთიერთპატივისცემის პრინციპის დაცვით ვითანამშრომლოთ სხვა პარტიებთან და საარჩევნო ადმინისტრაციასთან არჩევნების პროცესში წარმოშობილი დავებისა და კონფლიქტების მოგვარების მიზნით;

4.8. ვიღებთ ვალდებულებას, მოვახდინოთ მყისიერი რეაგირება წინამდებარე ქცევის კოდექსში ხსენებული დარღვევების აღსაკვეთად, მათ შორის, წავშლით ან მოვითხოვთ დაუყოვნებლივ წაიშალოს ხელმომწერი მხარის სახელით განთავსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არღვევს ამ ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

#	პოლიტიკური პარტიის დასახელება	ხელმძღვანელის/ წარმომადგენლის სახელი, გვარი	ხელმოწერა
1	შეცვალე საქართველო	გიორგი კაპანაძე	
2	ევროპული დემოკრატები	ნინა შერონია	
3	სამართლიანობისთვის	ილია ზალუქაშვილი	
4	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	გივი მიქანაძე	
5	ქ ყ ს - ქ ყ ვ ზ ნ	გიორგი აყმანიშვილი	აყმანიშვილი
6	ჩვენი გაერთიანებული საქ.	[illegible]	
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			
17			
18			
19			
20			
21			
22			
23			
24			
25			
26			
27			